თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2023 წლის 3 მაისი
მორიგი სხდომის
ოქმი № 7

ქ. თერჯოლა 3 მაისი 2023 წელი

სხდომა გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში, მის. ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. № 7-ში.

სხდომას უძღვებოდა: საკრებულოს თავმჯდომარის მ/შემსრულებელი დავით გოგბერაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ: 1. დავით გოგბერაშვილი, 2. ნინო ჩხიკვაძე, 3. ლაშა გურგენიძე, 4. იზა მაგრაქველიძე, 5. ბიძინა ბუცხრიკიძე, 6. კობა კაცაძე, 7. ნინო მახათაძე, 8. ომარი ჯიხვაშვილი, 9. ჯემალ ისაკაძე, 10. ელისო მურადაშვილი, 11. მანუჩარ ფანჩულიძე, 12. შალვა ჭანკვეტაძე, 13. გრიგოლ გიორგაძე, 14. გოჩა ვერულაშვილი, 15. ტარიელ ფანჩულიძე, 16. რუსუდან კოვზირიძე, 17. როლანდი მესხი, 18. ივანე ჩუბინიძე, 19. ბადრი ბუცხრიკიძე

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. გიორგი ბარათაშვილი, 2. ამირან ვერულაშვილი, 3. თემურ ქოჩიაშვილი, 4. კახა ბუცხრიკიძე, 5. რამინი რობაქიძე, 6. თამარ ახვლედიანი, 7. ფრიდონ გვენეტაძე, 8. დავით ცხადაძე, 8. ნატალია ასათიანი, 9. კობა კირკიტაძე, 10. მერაბი ბასილაძე.

საკრებულოს სრული შემადგენლობა: 30 წევრი
საკრებულოს სიითი შემადგენლობა: 30 წევრი
დამსწრე საკრებულოს წევრთა რაოდენობა: 19 წევრი
კვორუმი: 16 წევრი

სხდომა დაიწყო 12 ⁰⁰ სთ-ზე.
სხდომა დამთავრდა - 12 ³⁰სთ-ზე.

საკრებულოს სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.

დღის წესრიგი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ღვანკითის პირველი ქუჩისათვის ვალერი გოგნაძის სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის შესახებ;

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

2. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ"თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის N28-282312190 წერილი, 01.05.2023 წ);

/მომხს.: ავ. ურიადმყოფელი/

3. თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის პროგრამული ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიში (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის №28-28231 478 წერილი, 24.04.2023 წ);

/მომხს.: ავ. ურიადმყოფელი/

4. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე შშმ პირთა სარეაბილიტაციო მომსახურეობის თანადაფინანსების 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ'' თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 იანვრის N 29.292301111 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის N28-2823121126 წერილი, 01.05.2023 წ);

/მომხს.შ.ჭანკვეტაძე/

5. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირველი ჯგუფის უსინათლოთა სოციალური მხარდაჭერის 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ''თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 იანვრის № 29.29230114 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის №28-2823121126 წერილი, 01.05.2023 წ).

/მომხს.შ.ჭანკვეტაძე/

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19 , წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ღვანკითის პირველი ქუჩისათვის ვალერი გოგნაძის სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის შესახებ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ .

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -19 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ღვანკითის პირველი ქუჩისათვის ვალერი გოგნაძის სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება № გ-29.29231233, 03.02.2023 წ.).

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, ავთანდილ ურიადმყოფელმა საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ"თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი - თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილება გამოიწვია მთავრობის განკარგულებამ, შემოსავლების გეგმის გაზრდამ და ხარჯვითი ნაწილის კორექტირებამ.

ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა 263.0 ათასი ლარით და შეადგენს 27820.2 ათას ლარს.

საშემოსავლო ნაწილი შემცირდა 396.7 ათასი ლარით. გრანტი შემცირდა 46,7 ათასი ლარით და სხვა შემოსავლები (რენტა) შემცირდა 350.0 ათასი ლარით.

საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 650.7 ათასი ლარით. (გრანტი გაიზარდა 550.7 ათასი ლარით (რგფ პროექტი 55.7 ათასი ლარით (ახალთერჯოლის წყალი) და ფინანსური დახმარება 495.0 ათასი ლარით) და სხვა შემოსავლები (საგზაო ჯარიმები გაიზარდა 109.0 ათასი ლარით).

ხარჯვითი ნაწილი შემცირდა სულ 51.7 ათასი ლარით. გზების მშენებლობა რეაბილიტაციის პროგრამა შემცირდა 31.9 ათასი ლარით. წყალმომარაგების პროგრამა შემცირდა 14.8 ათასი ლარით და სოციალური დაცვა შემცირდა 5.0 ათასი ლარით.

ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა სულ 314,7 ათასი ლარით. გზების მშენებლობა რეაბილიტაციის პროგრამა გაიზარდა 20.0 ათასი ლარით. წყალმომარაგების პროგრამა გაიზარდა 89.7 ათასი ლარით. საბინაო კომუნალური მეურნეობის პროგრამა გაიზარდა 50.0 ათასი ლარით. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაცია გაიზარდა 70.0 ათასი ლარით (მესამე ბაღი). საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა და საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება გაიზარდა 80.0 ათასი ლარით და საზოგადოებრივი ჯანდაცვის მუნიციპალური ცენტრის დაფინანსება გაიზარდა 5.0 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -19 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ"თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი (დადგენილება № 9, 03.05.2023 წ.).

3.
მოისმინეს: მომხსენებელმა, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ავთანდილ ურიადმყოფელმა საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის პროგრამული ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიში .

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ .

გადაწყვიტეს: ცნობად იქნას მიღებული თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის პროგრამული ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიში (განკარგულება №გ-29.29.231234, 03.05.2023 წ.).

4.
მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე შშმ პირთა სარეაბილიტაციო მომსახურების თანადაფინანსების 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ''თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 იანვრის N 29.292301111 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი - პროგრამის ბიუჯეტი 5 000 ლარია, ამ დროისთვის გახარჯულია 4 545 ლარი, დარჩელია 455 ლარი. პროგრამით ისარგებლა 13 ბენეფიციარმა, საჭიროა პროგრამის ბიუჯეტი გაიზარდოს 5000 ლარით და გახდეს 10 000 ლარი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ .

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -19 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე შშმ პირთა სარეაბილიტაციო მომსახურების თანადაფინანსების 2023 წლის პროგრამის დამტკიცების

შესახებ"თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 იანვრის N 29.292301111 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი (განკარგულება № გ-29.29231232, 03.05.2023 წ.).

5.
მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირველი ჯგუფის უსინათლოთა სოციალური მხარდაჭერის 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ"თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 იანვრის N 29.29230114 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი -პროგრამის ბიუჯეტი არის 45 000 ლარი. პროგრამით ყოველთვიურად სარგებლობს 53 ბენეფიციარი, ამ დროისათვის გახარჯულია 13 140 ლარი. დარჩენილია 31860 ლარი. შესაძლებელია 5000 ლარი გადავიტანოთ ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე შშმ პირთა სარეაბილიტაციო მომსახურების თანააფინანსების 2023 წლის პროგრამაში.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ .

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -19 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირველი ჯგუფის უსინათლოთა სოციალური მხარდაჭერის 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ"თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 იანვრის № 29.29230114 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი (განკარგულება №გ-29.292312001, 03.05.2023 წ.).

სხდომის თავმჯდომარემ, დავით გოგბერაშვილმა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 3 მაისის საკრებულოს მორიგი სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარის
მ/შემსრულებელი
დავით გოგბერაშვილი